თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი №18

ქ. თბილისი 2018 წელი, 15 ივნისი, 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, ბექა დავითაულლიანი, ვახტანგ შაქარიშვილი, თეიმურაზ ისაკაძე, დავითი ყიფიანი, ნიკოლოზ ცაბაშვილი, გოჩა თეიმურაზაძე

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: დავით ფუჩაჯურიძე,გიორგი გახარია

სხდომას თავმჯდომარეობდა: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი:

„თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017წლის 15 დეკემბრის №6 8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი საქმე

(№12 031816495 03 . 13.06 2018წ)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა ბატონმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი

განისაზღვრა 872 185,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 34 677,9 ათასი ლარი. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 820 685,7 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 250 000,0 ათასი ლარი - საშემოსავლო გადასახადი 90 000,0 ათასი ლარი; საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 129 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 16 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი 15 000,0 ათასი ლარი. გრანტები 399 906,0 ათასი ლარი - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 639,1 ათასი ლარი, გათანაბრებითი ტრანსფერი 345 806,9 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; - სპეციალური ტრანსფერი 43 000,0 ათასი ლარი; - საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები (კაპიტალური ტრანსფერი) – 10 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 170 779,7 ათასი ლარი, მათ შორის: შემოსავალი საკუთრებიდან 15 071,2 ათასი ლარი, - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 45 000,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 64 000,0 ათასი ლარი, მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 10 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) – 26 500,0 ათასი ლარი. - სხვა შემოსავლები 10 208,5 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 906 863,6 ათასი ლარით, მათ შორის: სარეზერვო- განსაზღვრულია 601 929,3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა 180 789,7 ათასი ლარი; ფინანსური აქტივების ზრდა 118 113,7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება 6 030,9 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 130 789,7 ათას ლარს, მათ შორის: 4 – არაფინანსური აქტივების ზრდა 180 789,7 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება – 50 000,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს 81 935,8 ათას ლარს, მათ შორის: – ფინანსური აქტივების ზრდა – 118 113,7 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლება – 36 177,9 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება 34 677,9 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს 6 030,9 ათას ლარს, მათ შორის: – ვალდებულებების კლება 6 030,9 ათასი ლარი. 2018 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 87 966,7 ათასი ლარით.

წარმოდგენილი "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №6-8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მოწონებულ იქნა.

ხმის მიცემისგან თავი შეიკავეს კომისიის წევრებმა გიორგი გაბაშვილმა, ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა და გოჩა თევდორაძემ.

*აღნიშნულის გათვალისწინებით ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2018** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის **15** დეკემბრის **№6-8** დადგენილებაში ცვლილების შეტანის*

შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გაჩანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

რევაზ სოხაძე